20/11/2019

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საფრანგეთის ელჩს შეხვდა

ა.წ. 19 ნოემბერს სრულიად საქართელოს კათოლიკოს-პატრიარქმა მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად საქართველოში საფრანგეთის ახლადდანიშნული საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბ-ნი დიეგო კოლასი და მისი მოადგილე მიიღო.

კათოლიკოს-პატრიარქმა მადლობა გადაუხადა ელჩს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერისთვის და დასძინა: ჩვენს ქვეყნებს განსაკუთრებული სიახლოვე რომ აქვთ იქიდანაც ჩანს, რომ საფრანგეთი იყო ქვეყანა, რომელსაც 100 წლის წინ ათეისტური რეჟიმის მიერ დევნილმა მრავალმა ქართველმა შეაფარა თავი.

ბ-ნმა დიეგო კალასმა განაცხადა, რომ საფრანგეთი ყოველთვის იქნება საქართველოს პარტნიორი და მხარდამჭერი. ელჩის თქმით, ის მოხიბლულია ქართული კულტურით, ტრადიციებით, სტუმარ-მასპინძლობით, სხვადასხვა კულტურის და რელიგიის შემწყნარებლობით და ამავდროულად საკუთარი ტრადიციების დაფასებითა და ერთგულებით.

შეხვედრას მოგვიანებით შეუერთდა ამიერკავკასიის მუსლიმთა სულიერი ლიდერის წარმომადგენელი საქართველოში ალი ალიევი.

მისმა უწმინდესობამ საფრანგეთის ელჩს წარუდგინა ალი ალიევი და ხაზი გაუსვა იმ მეგობრულ ურთიერთობებს, რაც რელიგიური სხვაობის მიუხედავად ჩვენს ხალხებს შორის არსებობს.

დასასრულს მხარეთა მიერ დაახლოების და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილი

patriarchate.ge